

15.11.2011

სამოქალაქო
ბანკითარების
ინსტიტუტი



CIVIC
DEVELOPMENT
INSTITUTE

*ბავშვთა საკითხების პროფესიული და ეთიკური გაშუქების
მხრადაჭერა ქართულ მედიაში*

ანგარიში: 1 მარტი-1 დეკემბერი, 2011

15/12/2011

თბილისი

პროექტის ხანგრძლივობა: 1 მარტი-1 დეკემბერი 2011

პროექტის მიზანი: ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქების ხელშეწყობა ჟურნალისტთა პროფესიული განვითარების, მედია მონიტორინგისა და სამოქალაქო ცნობიერების გაზრდის გზით.

პროექტის აქტივობები:

1. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეთიკის კოდექსის, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შეიქმნას ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქების სტანდარტი.
2. პროექტის დასაწყისში კრებულის პრეზენტაცია და პროექტის დასრულებისას შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია.
3. ჟურნალისტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და მოქალაქეთა მონაწილეობა ბავშვზე ორიენტირებული მედია-პროექტის შექმნის მიზნით დაიგეგმა - რეგიონული შეხვედრები
4. მონიტორინგისა და გასაჩივრების სისტემის შექმნა, რომლის ფარგლებში განხორციელდება ქართული მედიის რეგულარული ანალიზი.
5. შეხვედრა ტელეკომპანიების იურიდიული სამსახურების წარმომადგენლებთან და პროექტის ფარგლებში შემუშავებული ინიციატივების წარდგენა.

1. კრებულის მომზადება და გამოცემა :

პროექტის პირველი აქტივობა იყო კრებულის გამოცემა. კრებული წარმოადგენს ბავშვთა საკითხების გაშუქების სტანდარტს ქართველი ჟურნალისტებისათვის. კრებული მომზადდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კრებული გავრცელდა მედია ორგანიზაციებსა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებში. ასევე, სოციალური ქსელის მომხმარებელთაგან ჰქონდათ საშუალება გასცნობოდნენ კრებულს. კრებული ატვირთულია სამოქალაქო განვითარების

პროექტი - ბავშვთა საკითხების პროფესიული და ეთიკური გაშუქების მხარდაჭერა ქართულ მედიაში

ინსტიტუტის (www.cdi.org.ge) და მედია-პორტალ MEDIA.GE -ს ვებ-საიტზე www.media.ge.

2. პრეზენტაცია :

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ორი პრეზენტაცია.

1. პირველი პრეზენტაციის მიზანი იყო შემუშავებული კრებულის - „მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტები“-ს წარდგენა საზოგადოებისათვის. სტანდარტის პრეზენტაცია შედგა 2011 წლის 30 მარტს. პრეზენტაციას ესწრებოდა 70 ადამიანი – მედიის, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების და უნივერსიტეტების წარმომადგენლები. შეხვედრა გაუქდა როგორც ნაციონალური ტელევიზიებით, ასევე, სააგენტოების და პრესის მეშვეობით.
2. მეორე პრეზენტაციის მიზანი იყო მედია მონიტორინგის შედეგების და პროექტის შემაჯამებელი ანგარიშის წარდგენა საზოგადოებისათვის. პრეზენტაციის დამსწრეებს, ასევე, წარედგინათ ცვლილების პროექტი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“ და განემარტათ ცვლილების ადვოკატირებისთვის ჩატარებული საქმიანობის შინაარსი.

3. რეგიონული შეხვედრები:

რეგიონული შეხვედრების მიზანია უზრუნველყოს პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და მოქალაქეთა მონაწილეობა ბავშვზე ორიენტირებული მედია-პროდუქტის შექმნის მიზნით.

პროექტის ფარგლებში რეგიონული შეხვედრები ჩატარდა საქართველოს შვიდ ქალაქში.

- ❖ 16 მარტი - ხარაგაული, ესწრებოდა 22 ადამიანი
- ❖ 31 მარტი - რუსთავი, ესწრებოდა 19 ადამიანი
- ❖ 5 აპრილი- ზუგდიდი, 18 ადამიანი

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, მარტი- დეკემბერი, 2011

პროექტი - ბავშვთა საკითხების პროფესიული და ეთიკური გაშუქების მხარდაჭერა ქართულ მედიაში

- ❖ 6 აპრილი- ფოთი, 19 ადამიანი
- ❖ 7 აპრილი- ბათუმი, 34 ადამიანი
- ❖ 8 აპრილი- ოზურგეთი, 17 ადამიანი
- ❖ 19 აპრილი- ახალციხე, 24 ადამიანი

ლისკუსიის დროს მონაწილეებმა განიხილეს სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის და გაეროს ბავშვთა ფონდის მერ გამოცემული კრებული – „მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები“, ასევე იმსჯელეს მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების გაუმჯობესების გზებზე.

ლისკუსიას ესწრებოდნენ მედიის ექსპერტები ნინია კაკაბაძე და გოგი გვახარია, აგრეთვე, ჟურნალისტები, პედაგოგები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, სტუდენტები.

ლისკუსიის ყველა მონაწილეს დაურიგდა [კრებული – „მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები“](#)

4. მედია მონიტორინგი

პროექტის ფარგლებში შეიქმნა მედია მონიტორინგისა და გასაჩივრების სისტემა. მედია მონიტორი თამთა ყუბანიშვილი და იურისტი თამარ კორძია ახდენენ მედიის რეგულარულ ანალიზს. სპეციალისტები იკვლევენ იმ მედია პროდუქტებს, სადაც დაცული არ არის ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპები და ბავშვთა უფლებები. პროექტის ფარგლებში განხორციელდა 7 ტელევიზიის, 7 რადიოს, 12 ჟურნალის, 39 გაზეთისა და 14 ახალი ამბების სააგენტოს მონიტორინგი. ექსპერტები იკვლევდნენ ყველა შემთხვევას, ასაჩივრებდნენ მედია-საშუალების თვითრეგულირების ორგანოში.

გასაჩივრების პროცედურები:

1. ეთიკური ჟურნალისტიკისა და ბავშვთა უფლებების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში იწერება საჩივარი;
2. საჩივარი იგზავნება ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასა (საგაზეთო პუბლიკაციის შემთხვევაში) და მედიის თვითრეგულირების ორგანოში (ტელე და რადიო კომპანიების შემთხვევაში);

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, მარტი- დეკემბერი, 2011

პროექტი - ბავშვთა საკითხების პროფესიული და ეთიკური გაშუქების მხარდაჭერა ქართულ მედიაში

3. საჩივარი განთავსდება სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ვებ-გვერდზე;
4. თვითრეგულირების ორგანოს პასუხი და ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება განთავსდება საჩივართან ბმულის სახით;

მედია მონიტორინგის ანგარიში

მედია მონიტორინგის ანგარიში ბავშვთა საკითხების გაშუქების შესახებ ეფუძნება 7 თვის განმავლობაში ჩატარებულ მონიტორინგს. 7 თვის განმავლობაში მონიტორმა განახორციელა მედიის ყველა საშუალების რეგულარულ მონიტორინგი. შერჩეულ იქნა როგორც საგაზეთო, ასევე ტელე-რადიოსიუჟეტები. მონიტორი ყველა რელევანტური მასალის ანალიზს ახდენდა სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ გამოცემული კრებულის „**ბავშვთა საკითხების გაშუქების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების**“ საფუძველზე, რომელშიც თავმოყრილია საერთაშორისო დოკუმენტები, საქართველოს კანონები ბავშვთა საკითხების გაშუქების შესახებ, მაუნცებელთა ქცევის კოდექსი. საგაზეთო მასალების შერჩევასა და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მუხლებიც იქნა გათვალისწინებული.

საჩივრის მომზადების პროცედურა

მასალა, რომელიც მონიტორის მიერ მედია სტანდარტის დარღვევად მიიჩნეოდა, მიწოდებოდა იურისტს, რომელიც, თავის მხრივ, მასალის იურიდული კუთხით შეფასების შემდეგ ამზადებდა საჩივარს.

საჩივარი წარედგინა რამდენიმე ტელევიზიის თვითრეგულირების ორგანოს, ასევე სააპელაციო ორგანოს.

საგაზეთო პუბლიკაციის შემთხვევაში საჩივარი წარედგინა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს. საბჭო განიხილავს მხოლოდ ქარტიაზე ხელისმომწერი ჟურნალისტების მიმართ შეტანილ საჩივარს.

საჩივრების რაოდენობა

მედია მონიტორმა იურისტს განსახილველად მიაწოდა სულ 40 მასალა. აქედან 10 პუბლიკაცია, 1 რადიო ინფორმაცია, 26 ტელესიუჟეტი და 3 ტელეგადაცემა.

მიწოდებული 40 მასალიდან იურისტმა სავალდებულოდ მიიჩნია 17 ტელესიუჟეტის, 1 რადიო ინფორმაციის, 1 ტელეგადაცემის და ორი საგაზეთო პუბლიკაციის გასაჩივრება.

დამატებით მომზადდა ორისაჩივარი ორი ტელევიზიის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოსათვის და ერთი საჩივარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისისათვის,

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, მარტი-დეკემბერი, 2011

პროექტი - ბავშვთა საკითხების პროფესიული და ეთიკური გაშუქების მხარდაჭერა ქართულ მედიაში

2 საჩივარი ყურნალისტური ეთიკის ქარტიას წარედგინა. მედია მონიტორინგის შუალედური ანგარიშის დროს იურისტმა ჯამში მოამზადა 23 საჩივარი.

საჩივრები წარედგინა:

- ❖ რუსთავი 2 - 5 საჩივარი
- ❖ ტელეიმედი - 4 საჩივარი
- ❖ საზოგადოებრივი მაუწყებელი და რადიო - 4
- ❖ კავკასია - 2
- ❖ მესტრო - 1
- ❖ რეალ ტვ- 3
- ❖ თრიალეთი-1

ყურნალისტურ ეთიკის ქარტია

- ❖ ასავალ-დასავალი - 1
- ❖ პრაიმტაიმი -1

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისია - 1 საჩივარი

საჩივრის პასუხები

წარდგენილ საჩივრები დააკმაყოფილა 4-მა ტელევიზიამ, დანარჩენმა ტელევიზიამ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი არ ცნო უფლებამოსილ პირად და საჩივრის განხილვაზე უარი ეთქვა.

ყურნალისტური ეთიკის ქარტიაში შეტანილი 2 საჩივრიდან დააკმაყოფილდა მხოლოდ გაზეთ "პრაიმტაიმის" საჩივარი. ვინაიდან გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქტორი და სტატიის ავტორი არ არიან ყურნალისტური ეთიკის ქარტიაზე ხელისმომწერი პირები, საჩივრის განხილვაზე სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტს უარი ეთქვა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი:

საზოგადოებრივ მაუწყებელს წარედგინა 4 საჩივარი. დამაკმაყოფილებელი პასუხი მივიღეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოდან (საზოგადოებრივი მაუწყებლის და რადიოს დარღვევები ერთ საჩივარში გაერთიანდა, ვინაიდან ერთი სუბიექტს

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, მარტი- დეკემბერი, 2011

პროექტი - ბავშვთა საკითხების პროფესიული და ეთიკური გაშუქების მხარდაჭერა ქართულ მედიაში

წარმოადგენენ). თვითრეგულირების ორგანომ დაადასტურა საზოგადოებრივი მაუწყებლის და რადიოს მხრიდან მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევა.

ტელეკომპანია „მაესტრო“

თვითრეგულირების ორგანოში გაიგზავნა ერთი საჩივარი, სადაც განიხილეს სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ წარდგენილი საჩივარი და აღიარეს მაუწყებელთა კოდექსის დარღვევა.

ტელეკომპანია „კავკასია“

შევიდა სულ ორი საჩივარი, აქედან ერთი იყო სააპელაციო. გავასაჩივრეთ პირველი საჩივრის პასუხი. სააპელაციო ორგანოს პასუხი დღემდე არ მიგვიღია. ტელეკომპანია „კავკასია“ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტს არ ცნობს უფლებამოსილ პირად.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“

შევიდა 5 საჩივარი, აქედან ერთი იყო სააპელაციო. რუსთავი - 2 ასევე არ ცნობს სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტს უფლებამოსილ პირად.

„ტელეიმედი“

4 საჩივარი შევიდა. არც „ტელეიმედის“ თვითრეგულირების ორგანომ განიხილა სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის საჩივარი. იურისტმა ტელეიმედის თვითრეგულირების ორგანოს დებულების საფუძველზე საჩივარი გააგზავნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

საჩივრის საფუძველზე კომისიამ დანიშნა 2011 წლის 21 ივნისს სხდომა, სადაც განიხილა სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის საჩივარი. კომისიამ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ტელეკომპანია „რეალ ტვ“

თვითრეგულირების ორგანოში შევიდა სამი საჩივარი. პირველი საჩივარი თვითრეგულირების ორგანომ განიხილა, თუმცა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევა არ აღიარა. დანარჩენ ორ საჩივარზე პასუხი არ მიგვიღია.

ტელეკომპანია „თრიალეთი“

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, მარტი-დეკემბერი, 2011

პროექტი - ბავშვთა საკითხების პროფესიული და ეთიკური გაშუქების მხარდაჭერა ქართულ მედიაში

ტელეკომპანია „თრიალეთში“ გაიგზავნა ერთი საჩივარი, თვითრეგულირების ორგანომ განიხილა და დაადასტურა ტელევიზიის მხრიდან მედია სტანდარტის დარღვევის ფაქტი.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს წარედგინა ორი საჩივარი. აქედან ერთი საჩივარი ეხებოდა ქარტის ხელისმომწერ პირს, საბჭომ საჩივარი განიხილა და სტატიის ავტორის მიერ ქარტიის მე-8 და მე-10 პრინციპების დარღვევა დაადასტურა.

მეორე საჩივარი ეხებოდა გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის მიერ მომზადებულ სტატიას, რომელიც არ არის ქარტიის ხელისმომწერი. შესაბამისად ქარტიამ არ განიხილა მეორე საჩივარი.

5. შეხვედრა ტელეკომპანიების იურიდიული სამსახურების წარმომადგენლებთან:

ამ შეხვედრის მიზანი იყო „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“ განსახორციელებელი ცვლილების განხილვა. მონიტორინგის პროცესში დადგინდა, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსში „დაინტერესებული მხარის“ განმარტება არ აძლევდა საშუალებას არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ ყოფილიყვნენ „დაინტერესებული მხარე“ ბავშვის საკითხთან დაკავშირებულ სიუჟეტებში/პროგრამებში სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში. შეხვედრაზე ტელეკომპანიების იურისტებს წარედგინათ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“ იმგვარი ცვლილება, რომელიც „დაინტერესებული მხარის“ ცნებას გაათავართობდა ბავშვის საკითხების გაშუქების შემთხვევაში. კოდექსში ცვლილების შეტანის შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაციებს მიენიჭებათ უფლება, იყვნენ დაინტერესებული მხარე ბავშვის საკითხების გაშუქებისას მაუწყებელთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში. განხილვის შემდეგ, ტელეკომპანიების იურისტები დასთანხმდნენ ცვლილების პროექტს.

პროექტის შედეგები:

1. შეიქმნა და გამოქვეყნდა სახელმძღვანელო, რომელშიც თავმოყრილია როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი წესები ბავშვის საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით. სახელმძღვანელო ასახავს ჩარჩო-სტანდარტს ყველა დაინტერესებული პირისთვის და, პირველ რიგში, ბავშვის საკითხზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის.
2. პუბლიკაცია **Standards for journalists on Reporting of Children** დაურიგდათ ტელე, რადიო და ბეჭდვითი მედიის ჟურნალისტებს როგორ თბილისში, ასევე რეგიონებში, რამაც მათ საშუალება მისცა, ბავშვის საკითხების გაშუქებისას

იხელმძღვანელონ საერთაშორისო სტანდარტით და ქართული კანონმდებლობით.

3. მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრებმა საქართველოს რეგიონების ჟურნალისტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით კიდევ ერთხელ გაააქტიურა ბავშვის საკითხების გაშუქებისას სტანდარტის დაცვის აუცილებლობა და ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპების მნიშვნელობა.
4. მედიამონიტორინგის პროცესმა გამოავლინა ის შეცდომები, რომლებსაც ჟურნალისტები უშვებენ ბავშვის საკითხების გაშუქებისას. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა ტელევიზიასა და ქარტიის საბჭოში გაგზავნილმა საჩივრებმა სერიოზული მოტივაცია შეუქმნა მედიორგანიზაციებს (მათ შორის, ნაციონალურ ტელევიზიებს), გამოასწორონ საკუთარი შეცდომები. ამ მიმართულებით დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის გზები.
5. გამოიკვეთა „მაუნცებელთა ქცევის კოდექსში“ ცვლილების შეტანის აუცილებლობა. ჩამოყალიბდა ცვლილების ტექსტი და დაინიშნა ცვლილების ადვოკატირება. შედგა პროექტით გაუთვალისწინებელი შეხვედრები კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარესთან, ამავე კომისიის იურიდიული სამსახურის უფროსთან და რეგიონული ტელევიზიების ხელმძღვანელებთან, რამაც შესაძლებელი გახადა ცვლილებების მხარდაჭერა პროცესში ჩართული ყველა სუბიექტის მიერ.

ვვარაუდობთ, რომ ტექნიკური სამუშაოს ჩატარების შემდეგ, კომუნიკაციების ეროვნული კომისია მზად იქნება, „მაუნცებელთა ქცევის კოდექსში“ შეიტანოს ცვლილება, რომლის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციებს მიეცემათ საშუალება, ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებზე წარმოადგენდნენ დაინტერესებულ მხარეს ტელეკომპანიების თვითრეგულირების ორგანოს წინაშე. ეს ცვლილება საშუალებას მისცემს მედიას, უფრო ქმედითად ამოქმედოს თვითრეგულაციის სისტემა და ამით ხელი შეუწყოს ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპების დანერგვას, პირველ რიგში, ბავშვთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას.